საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომის
ოქმი N 7

ქ. თბილისი 17 ოქტომბერი, 2018 წელი.

სხდომას ესწრებოდნენ: ნადარაია ელიზბარ, შენგელაია ალექსანდრე, შალიკაშვილი მორის, ანანიაშვილი იური, ხუციშვილი ქეთევან, ბერულავა გიორგი, ებრალიძე თამარ, ოკრიბელაშვილი ნინო, პაპავა გივი, ივანე ამირხანაშვილი.

დღის წესრიგი:

1. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება“ დოქტორანტ **დავით ქადაგიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;
2. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება“ დოქტორანტ **ირაკლი დოღონაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;
3. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება“ დოქტორანტ **თამარ ხაბელაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;
4. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება“ დოქტორანტ **ლაშარი ქურდაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;
5. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება“ დოქტორანტ **თეონა გოგიტიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;
6. მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია“ დოქტორანტ **ქეთევან სიდამონიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;
7. მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა“ დოქტორანტ **ლელა კოპალეიშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;
8. მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია“ დოქტორანტ **ეკატერინე ხმალაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;
9. იურიდიული ფაკულტეტის „სამართლის“დოქტორანტურის პროგრამის დოქტორანტ **გიორგი ამირანაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების)

დამტკიცებისა და სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;

10. იურიდიული ფაკულტეტის „სამართლის"დოქტორანტურის პროგრამის დოქტორანტ **ხათუნა ჭითანავას** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დამტკიცების შესახებ.

11. იურიდიული ფაკულტეტის „სამართლის" დოქტორანტურის პროგრამის დოქტორანტ **ირაკლი ყანდაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლების დამტკიცების შესახებ.

12. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის „მასობრივი კომუნიკაციის" დოქტორანტურის პროგრამის დოქტორანტ **თინათინი მაჭარაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის და დაცვის თარიღის დამტკიცების შესახებ.

13. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის „მასობრივი კომუნიკაციის" დოქტორანტურის პროგრამის დოქტორანტ **თამარ ნარინდოშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის და დაცვის თარიღის დამტკიცების შესახებ.

14. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის „მასობრივი კომუნიკაციის" დოქტორანტურის პროგრამის დოქტორანტ **ნათია სვანიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის და დაცვის თარიღის დამტკიცების შესახებ.

15. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის „საერთაშორისო ურთიერთობები" დოქტორანტურის პროგრამის დოქტორანტ **გიორგი ლეკვეიშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის და დაცვის თარიღის დამტკიცების შესახებ.

16. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის „გეოგრაფიის" დოქტორანტურის პროგრამის დოქტორანტ **თამარ ხარძიანის** სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლების დამტკიცების შესახებ.

17. ჰუმანიტარულ მეცნიერბათა ფაკულტეტის „რუსეთისმცოდნეობის" დოქტორანტურის პროგრამის დოქტორანტ **ანა მანაგაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დამტკიცების შესახებ.

18. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის დოქტორანტურის პროგრამის დოქტორანტ **მერი დაუშვილის** სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლების დამტკიცების შესახებ.

19. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორანტურის პროგრამის დოქტორანტ **ლანა სულაკაძის** სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლების დამტკიცების შესახებ.

20. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორანტურის პროგრამის დოქტორანტ **თამარ ღუტიძის** სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლების დამტკიცების შესახებ.

21. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორანტურის პროგრამის დოქტორანტ **ლია გვაზავას** სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლების დამტკიცების შესახებ.

22. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორანტურის პროგრამის დოქტორანტ **დიმიტრი ჯავახაძის** სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლების დამტკიცების შესახებ.

23. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორანტურის პროგრამის დოქტორანტ **სალომე საყვარელიძის** სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლების დამტკიცების შესახებ.

24. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ეკონომიკის" დოქტორანტურის პროგრამის დოქტორანტ **გიორგი მიქელაძის** სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლების დამტკიცების შესახებ.

25. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ეკონომიკის“ დოქტორანტურის პროგრამის დოქტორანტ **ლევან სილაგაძის** სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლების დამტკიცების შესახებ.

26. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორანტურის პროგრამის დოქტორანტ **ალექსანდრე მიქელაძის** სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლების დამტკიცების შესახებ.

27. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორანტურის პროგრამის დოქტორანტ **თინათინ მეძმარიაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლების დამტკიცების შესახებ.

28. მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა“ დოქტორანტის **ანა მალაზონიას** სადისერტაციო ნაშრომის "კლინიკურ - მეტაბოლური დარღვევები და მელატონინის სეკრეციის თავისებურებები სიმსუქნით დაავადებულ ქალებში" - დაცვის თარიღის განისაზღვრა;

29. მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა“ დოქტორანტის **ხათუნა ჩიტაძის** სადისერტაციო ნაშრომის - „ლატენტური მასტოიდიტის მკურნალობის საკითხებისთვის“ - დაცვის თარიღის დამტკიცება;

დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება“ დოქტორანტ **დავით ქადაგიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორ ნუგზარ თოდუას ინფორმაცია დისერტაციის - ,,სტრატეგიული გადაწყვეტილებები ჰიდროენერგეტიკული სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის“ - სამეცნიერო ღირებულებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ. აღნიშნა, რომ ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს: ელექტროენერგიის ბაზრის იმ სეგმენტის ანალიზი, რომელსაც საქართველოს როგორც აკადემიურ სფეროში, ასევე ენერგეტიკის დარგში ჯეროვანი ყურადღება არ დათმობია. ანალიზი მოიცავს სხვადასხვა ასპექტებს და ამდენად ატარებს კომპლექსურ ხასიათს. კვლევის საფუძველზე შესაძლებელი გახდა ელექტროენერგიის ბაზრის კონცენტრაციის შეფასება. ნაშრომში შემუშავებული რეკომენდაციები სთავაზობს ელექტროენერგეტიკის პოლიტიკის გამტარებლებს ისეთი პოლიტიკის, სამმართველო მოდელების, გადაწყვეტილებების შემუშავებას, რომელიც ხელს შეუწყობს არა მხოლოდ ჰიდროენერეგტიკულ სექტორში, არამედ მთლიანი ენერგეტიკის სფეროში კონკურენციის განვითარებას; ელექტროენერგიით ვაჭრობით ახალი შესაძლებლობების გამოვლენას, რომელიც ითვალისწინებს რეგიონალურ ბაზრებთან ინტეგრაციას და რეგიონალური ჰაბის სტატუსის მოპოვებას. ამ კონკრეტული მიმართულებით საქართველოში მეცნიერული კვლევები არ ჩატარებულა. ასევე ორიგინალური კვლევის საფუძველზე შესაძლებელი გახდა ჰიდროელექტროენერგეტიკის სექტორის ფუნქციონირების ეფექტურობის შეფასების კრიტერიუმების (ინდიკატორების) დადგენა, რომლებიც ხელს შეუწყობენ ელექტროენერგეტიკული სისტემის ფუნქციონირების ეფექტურობის ამაღლებას. ამდენად ნაშრომით გათვალისწინებულ კვლევა წარმოადგენს მევნიერულ სიახლეს, ნოვატორული და

ორიგინალურია. სადისერტაციო ნაშრომში ჩატარებულ კვლევას გააჩნია, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მნიშვნელობა.

აზრი გამოთქვა: მორის შალიკაშვილმა დასვა კითხვა, სადისერტაციო ნაშრომის კომისიის თავმჯდომარის ან მდივნისათვის ხომ არ არის ცნობილი ინფორმაცია დისერტაციის პლაგიატთან და მონაცემების გაყალბებასთან დაკავშირებით?

მოისმინეს: ნ. თოდუამ და ნ. ფარესაშვილმა აღნიშნეს, რომ მათ მიერ ნაშრომი პლაგიტზე არ გადამოწმებულა, თუმცა რეცენზენტებისა და ხელმძღვანელისგან პლაგიატის არსებობის თაობაზე ინფორმაცია არ წარდგენილა.

აზრი გამოთქვა: ელიზბარ ნადარაიამ გამოთქვა მოსაზრება, რომ სასურველია, თუ დისერტაციის თემის შესახებ გამოქვეყნებული ნაშრომები მითითებული იქნებოდა სადისერტაციო ნაშრომში.

მოისმინეს: ნ. ფარესაშვილმა აღნიშნა, რომ დოქტორანტი ვალდებულია გამოქვეყნებული შრომების სია წარმოადგინოს ავტორეფერატში და დისერტაციაში მითითება არ წარმოადგენს ვალდებულებას.

აზრი გამოთქვა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე (9 ხმა), დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **დავით ქადაგიძისათვის** ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირება" დოქტორანტ **ირაკლი დოღონაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორ ნუგზარ თოდუას ინფორმაცია დისერტაციის - ,,მონეტარული პოლიტიკის გავლენა კაპიტალის ბაზრების ფუნქციონირებაზე" - სამეცნიერო ღირებულებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ. აღნიშნა, რომ ნაშრომში გამოყენებულია საქართველოს ეროვნული ბანკის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის, მსოფლიო ბანკის და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა თუ ოფიციალური წყაროების სტატისტიკური მონაცემები. კვლევის შედეგად დადგინდა: საქართველოში ფულის მასის შოკის გავლენის მნიშვნელოვანება სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების საპროცენტო განაკვეთებზე; საქართველოში ფულის მასის შოკის უძრავი ქონების ფასების ინდექსზე გავლენის მნიშვნელოვნება; საქართველოში მონეტარული შოკის ეკონომიკურ ზრდაზე გავლენის მნიშვნელოვნება. ბოლო პერიოდისთვის საქართველოში მონეტარული ნეიტრალობის ჰიპოთეზა უარყოფილია; საქართველოში საფასო შოკების რეალურ ეკონომიკურ ზრდაზე გავლენის მნიშვნელოვნება მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდებში. დოქტორანტს აღნიშნულ თემაზე გამოქვეყნებული აქვს 9 ნაშრომი.

აზრი გამოთქვა: იური ანანიაშვილმა აღნიშნა, რომ სასაურველი იქნებოდა აღნიშნული ნაშრომი შესრულებულიყო ეკონომიკის მიმართულებით.

მოისმინეს: ნ. თოდუამ აღნიშნა, რომ ფაკულტეტის საბჭომ სადისერტაციო ნაშრომის თემის დამტკიცებისას მიიღო გადაწყვეტილება, რომ ნაშრომი მომზადებულიყო ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით.
აზრი გამოთქვა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.
დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე (9 ხმა), დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **ირაკლი დოღონაძისათვის** ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება" დოქტორანტ **თამარ ხაბელაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.
მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორ დავით ნარმანიას ინფორმაცია დისერტაციის - „საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების თანამედროვე მდგომარეობა და ევროკავშირთან ინტეგრაციის პერსპექტივები" - სამეცნიერო ღირებულებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ. აღნიშნა, რომ ნაშრომში წარმოდგენილი კვლევის შედეგები და სიახლეები შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს: საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგიის სრულყოფისთვის; საქართველოს რეგიონებში ბიზნეს-ინკუბატორების ფორმირებისთვის, რომლებიც შეიძლება გახდნენ პრაქტიკული მეწარმული უნარის გამომუშავება-ჩამოყალიბების კერებად; ევროკავშირის ცალკეულ ქვეყნებთან საპარტნიორო ურთიერთობების გაღრ¬მავებისთვის და მრავალი სხვა.
აზრი გამოთქვა: ელიზბარ ნადარაიამ გამოთქვა მოსაზრება, რომ სასურველია, თუ დისერტაციის თემის შესახებ გამოქვეყნებული ნაშრომები მითითებული იქნებოდა სადისერტაციო ნაშრომში.
მოისმინეს: ხ. ბერიშვილმა აღნიშნა, რომ დოქტორანტი ვალდებულია გამოქვეყნებული შრომების სია წარმოადგინოს ავტორეფერატში და დისერტაციაში მითითება არ წარმოადგენს ვალდებულებას.
აზრი გამოთქვა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.
დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე (9 ხმა), დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **თამარ ხაბელაშვილისათვის** ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება" დოქტორანტ **ლაშარი ქურდაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორ დავით ნარმანიას ინფორმაცია დისერტაციის - „ადამიანური კაპიტალის კომპონენტი ტრანსნაციონალური კომპანიების მართვაში" - სამეცნიერო ღირებულებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ. დ. ნარმანიამ აღნიშნა, რომ მეცნიერული სიახლის თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანია ნაშრომის შემდეგი შედეგები: 1. დაზუსტებულია ცოდნის ეკონომიკის ადგილი იმ სხვა თანამედროვე ეკონომიკურ კონცეფციებს შორის, რომლებიც ხსნიან „ახალი", ანუ ინფორმაციული, ინოვაციური, გლობალური და ქსელური პოსტინდუსტრიული ეკონომიკის არსს; დასაბუთებულია ამ თეორიების განსხვავებები, ჩატარებულია მათი კლასიფიკაცია სხვადასხვა, მათ შორის - ინფორმაციული და ტექნოკრატიული ნიშნების მიხედვით; გარკვეულია მისი მნიშვნელობა ინოვაციური ბიზნესისათვის ინტელექტუალური კაპიტალის შექმნის თვალსაზრისით; 2. გამომუშავებულია ცოდნის ეკონომიკისა და ინტელექტუალური კაპიტალის, როგორც სისტემური ფენომენის, საავტორო კონცეფცია ზემოაღნიშნული მიდგომების სინთეზის საფუძველზე, რომლის ჩარჩოებშიც გამოყოფილია და სისტემატიზებული თანამედროვე ეტაპზე ცოდნის ეკონომიკის საკვანძო თავისებურებები: თეორიული, სამეცნიერო ცოდნის როლის ზრდა; ეკონომიკის გლობალური, ქსელური და ინოვაციური ხასიათი; საინფორმაციო და სხვა მეცნიერებატევადი ტექნოლოგიების მნიშვნელობის ზრდა; აკადემიური კაპიტალის მართვის ახალი მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოჩენა; 3. ინსტიტუტებისა და ცოდნის საერთო თვისებების ანალიზის საფუძველზე, განსაზღვრულია ცოდნის ეკონომიკის, როგორც სამეურნეო მექანიზმის ახალი ფორმის არსი ნეოინსტიტუციური თეორიის პოზიციიდან; 4. საწარმოთა და კორპორაციათა ფუნქციონირების პროცესის შესწავლის შედეგად, დადასტურებულია ცოდნის ეკონომიკისა და კერძოდ აკადემიური (ინტელექტუალური) კაპიტალის ფორმირების ინტენსიური განვითარება დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში; შედარებითი ანალიზის შედეგად, დასაბუთებულია ეროვნული ინოვაციური სისტემების გავრცელების კანონზომიერებები სულ უფრო მეტ ქვეყანაში, გამოვლენილია სახელმწიფოს უმთავრესი ამოცანები ამ სისტემების შექმნისა და ხელშეწყობის საქმეში: წარმოებების ორგანიზების პროცესი; ცოდნის გავრცელება განათლების სისტემის ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლების გზით; წარმოებისა და მომსახურების სფეროებთან განათლების სისტემის ურთიერთკავშირის გაძლიერება; ინოვაციური და კრეატიული ბიზნესის ეფექტიანი მხარდაჭერის სისტემის ფორმირება და ასე შემდეგ. 5. ინსტიტუციური თეორიის პოზიციებიდან საქართველოსათვის შემუშავებულია რეკომენდაციების რიგი, რომლებიც დააჩქარებდნენ ცოდნის ეკონომიკის ფორმირებისა და კრეატიული ბიზნესის სფეროში მისი შედეგების დანერგვას, მაგალითად: ცოდნის მართვის სიტემების ჩამოყალიბების კონცეფციის მხარდაჭერა ბიზნესის სუბიექტებში, მეცნიერებატევადი დარგების მხარდაჭერა; მომსახურების სფეროს დივერსიფიკაცია და სხვა.

აზრი გამოთქვა: ელიზბარ ნადარაიამ აღნიშნა, რომ დოქტორანტს გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები უცხოეთში, რაც მისასალმებელია.

აზრი გამოთქვა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე (9 ხმა), დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **ლაშარი ქურდაშვილისათვის** ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება“ დოქტორანტ **თეონა გოგიტიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორ ნუგზარ თოდუას ინფორმაცია დისერტაციის - "გენმოდიფიცირებული პროდუქციისადმი ქართველი მომხმარებლის დამოკიდებულების მარკეტინგული კვლევა (აჭარის მაგალითზე)" - სამეცნიერო ღირებულებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ. აღნიშნა, რომ ნაშრომი წარმოადგენს საქართველოს ბაზარზე გენმოდიფიცირებული პროდუქციისადმი მომხმარებელთა დამოკიდებულების შესწავლაში ახალ მარკეტინგულ გამოკვლევას. იგი სიახლეა თეორიული და პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით. ნაშრომის ძირითადი მეცნიერული სიახლეები არის შემდეგი: გამოვლენილია გენმოდიფიცრებული პროდუქციის შესახებ ქართველი მომხმარებლების ცნობიერების დონე და შეხედულებები; დადგენილია ქართველი მომხმარებლების მიერ გენმოდიფიცრებული პროდუქტების შეძენის ძირითადი ტენდენციები და მახასიათებლები; ნაჩვენებია, რომ გენმოდიფიცრებული პროდუქციის შესახებ ქართველი მომხმარებლების მიერ ინფორმაციის ფლობაზე განათლება მნიშვნელოვან როლს თამაშობს, ხოლო ასაკი მასზე გავლენას არ ახდენს. ასევე, მომხმარებელთა შემოსავლები და სოციალური მდგომარეობა განაპირობებს მათ მიერ გენმოდიფიცირებული პროდუქტის შეძენის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას; განსაზღვრულია გენმოდიფიცირებული პროდუქციის შესახებ ქართველი ფერმერების ცნობიერების დონე; გამოვლენილია გენმოდიფიცირებული პროდუქციის წარმოებისადმი ქართველი ფერმერების შეხედულება და დამოკიდებულება; დადგენილია ქართველი ფერმერების მიერ გენმოდიფიცირებული პროდუქტების შეძენის ძირითადი ტენდენციები და მახასიათებლები; ნაჩვენებია, რომ გენმოდიფიცირებული პროდუქციის შესახებ ქართველი ფერმერების მიერ ინფორმაციის ფლობაზე ასაკი და განათლება შესამჩნევ როლს თამაშობს. ამასთან, შემოსავლები არ ახდენს ზემოქმედებას ფერმერების მიერ წარმოების სფეროს არჩევანზე. Aასევე დადგენილია, რომ გენმოდიფიცირებული პროდუქციის შესახებ ინფორმაციის ფლობა ზემოქმედებას ახდენს ფერმერების მიერ ასეთი პროდუქციის წარმოების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე.

აზრი გამოთქვა: გიორგი ბერულავამ აღნიშნა, რომ ის იყო სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრი და ასეთი ტიპის კვლევები საკმაოდ იშვიათია საქართველოში.

აზრი გამოთქვა: ალ. შენგელაიამ დასვა კითხვა - რით განსხვავდება ჩატარებული კვლევა ამავე საკითხზე სოციოლოგს რომ ჩაეტარებინა კვლევა? სხვა დასკვნებს გამოიტანდა?

მოისმინეს: ნ. თოდუამ განმარტა, რომ სოციოლოგი გამოიკვლევდა, თუ რას ფიქრობს საზოგადოება აღნიშნულ საკითხზე, ხოლო ბიზნისის ადმინისტრირების მიმართულების მკვლევარისათვის კვლევის მიზანს მარკეტინგული საკითხების დეტალური შესწავლა და მარკეტინგული სტრატეგიების ჩამოყალიბება წარმოადგენდა.

აზრი გამოთქვა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე (9 ხმა), დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **თეონა გოგიტიძისათვის** ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია" დოქტორანტ **ქეთევან სიდამონიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის, მედიცინის ფაკულტეტის პროფესორ პაატა იმნაძის ინფორმაცია დისერტაციის - „საქართველოში გამოყოფილი Brucella-ს შტამების შესწავლა, მოლეკულური ტიპირება და ფილოგენეტიკური ანალიზი" - სამეცნიერო ღირებულებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ. აღნიშნა, რომ ნაშრომის მიზანს წარმოადგენდა საქართველოში ბრუცელოზის ზედმხედველობისათვის თანამედროვე მოლეკულური მეთოდების შემუშავება და დანერგვა. მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს ის, რომ პირველად გენეტიკურად დადასტურა საქართველოში, *Brucella*-ს ორი სახეობის (*B. abortus* და *B. melitensis*) აქტიური ცირკულაცია; მრავლობითი ლოკუსების ტანდემურად განმეორებადი თანმიმდევრობების ცვლადი რაოდენობის ანალიზის (MLVA) ტიპირებით დადგინდა საქართველოში მოცირკულირე *B. abortus*-ის და *B. melitensis* -ის შტამების გენეტიკური მრავალფეროვნება; სრული გენომური სექვენირებისა და ფილოგენეტიკური ანალიზის საშუალებით დადგინდა საქართველოში გამოყოფილი ბრუცელას შტამების გენეტიკური პროფილის სიახლოვე მსოფლიოს სხვადასხვა ადგილებში გავრცელებულ ბრუცელას შტამებთან; ბრუცელას შტამების MLVA ტიპირებით დადგინდა საქართველოსა და თურქეთს შორის ბრუცელას შტამების მიგრაცია; საქართველოში ბრუცელოზის ზედმხედველობისათვის შემუშავდა თანამედროვე მოლეკულური მეთოდები. ნაშრომი შეფასდა 96 ქულით. დოქტორანტს გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში და მონაწილეობდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში.

აზრი გამოთქვა: ალ. შენგელაიამ აღნიშნა, რომ ნაშრომები გამოქვეყნებულია მაღალრეიტინგულ იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურანლებში. შესაძლებელი იყო თუ არა აღნიშნული კვლევა ჩაეტარებინა ბიოლოგს?

მოისმინეს: პ. იმნაძემ აღნიშნა, რომ კვლევა და დიაგნოსტირება ხდებოდა ავადმყოფზე დაკვირვებით და ავადმყოფობის მიმდინარეობის პროცესში.

აზრი გამოთქვა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე (9 ხმა), დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **ქეთევან სიდამონიძისათვის** საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა" დოქტორანტ **ლელა კოპალეიშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის, მედიცინის ფაკულტეტის პროფესორ ალექსანდრე ალადაშვილის ინფორმაცია დისერტაციის - „კლინიკური გამოსავალი და ცხოვრების ხარისხი პაციენტებში მწვავე კორონარული სინდრომით - ტიკარგრელორისა და კლოპიდოგრელის შედარებითი ეფექტურობისა და

უსაფრთხოების განსაზღვრა“ - სამეცნიერო ღირებულებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ. აღნიშნა, რომ ნაშრომის მიზანს წარმოადგენდა ტიკარგრელორისა და კლოპიდოგრელის შედარებითი ეფექტურობისა და უსაფრთხოების შესწავლა კლინიკური გამოსავალი და ცხოვრების ხარისხის გათვალისწინებით მწვავე კორონარული სინდრომით პაციენტებში.

აზრი გამოთქვა: ნ. ოკრიბელაშვილმა აღნიშნა, რომ რთულია იმსჯელოს საბჭომ მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილ ნაშრომზე, თუ არ დავეყრდნობით დაცვის კომისიის დასკვნას. აღნიშნა, რომ ჩატარებული კვლევა მეტად მნიშვნელოვანია. ნაშრომები გამოქვეყნებულია როგორც უცხოეთის, ასევე ქართულ მაღალრეიტინგულ ჟურნალებში.

აზრი გამოთქვა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე (9 ხმა), დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **ლელა კოპალეიშვილისათვის** მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია“ დოქტორანტ **ეკატერინე ხმალაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის, მედიცინის ფაკულტეტის პროფესორ ნატა ყაზახაშვილის ინფორმაცია დისერტაციის - „საქართველოში გამოყოფილი ჯილეხის შტამების მოლეკულური ტიპირება და ფილოგენეტიკური ანალიზი“ - სამეცნიერო ღირებულებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ. აღნიშნა, რომ ნაშრომი მეტად აქტუალურია და საყურადღებო საზოგადოებრივი ჯანდაცვის თვალსაზრისით, რადგან ავადობა კვლავ გვხვდება როგორც ადამიანებში ასევე ცხოველებში და უარყოფით გავლენას ახდენს როგორც სოფლის მეურნეობაზე, ასევე ეკონომიკაზეც. ნაშრომს გააჩნია მეცნიერული და პრაქტიკული ღირებულება. სტატიები გამოქვეყნებული აქვს მაღალრეიტინგულ ჟურნალებში. კომისიამ შეაფასა 98 ქულით.

აზრი გამოთქვა: ალ. შენგელაიამ აღნიშნა, რომ საერთაშორისო ჟურნალებში დოქტორანტს გამოქვეყნებული აქვს სამი სტატია, თუმცა არსად მისი თანაავტორი არაა დისერტაციის სამეცნიერო ხელმძღვანელი. რაიმე შიდა საფაკულტეტო დებულება ან სამართლებრივი აქტი კრძალავს?

აზრი გამოთქვა: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, ადამ კოტორაშვილმა, აღნიშნა, რომ დოქტორანტი ეკატერინე ხმალაძე დამოუკიდებლად ახორციელებდა კვლევას, შესაბამისად, თავადაა საკუთარი სტატიების ავტორი.

აზრი გამოთქვა: თუ დამოუკიდებლად ატარებდა კვლევას, რატომ ჰყავს თანაავტორებად უცხოელები?

